



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების
დოკუმენტი

2017 წელი

შინაარსი

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები	3
2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა	7
2.1 სოფლის მეურნეობა	7
2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა.....	11
2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო	12
3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა	14
3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა	14
3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა	16
4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა	17
4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა	17
4.2. სოციალური მომსახურეობა	17
5. განათლება, კულტურა და სპორტი	19
5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა.....	19
5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები	19
6. გარემოს დაცვა	20
7. ხელისუფლება	22
8. SWOT ანალიზი	24
9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია	0
10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები.....	1

1. ზოგადი საკასპორტო მონაცემები

გეოგრაფიული მდებარეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია გორაკ-ბორცვიანია, ვრცელდება ზღვის დონიდან 200 მეტრიდან - 3,000 მეტრ სიმაღლემდე. რელიეფი მრავალფეროვანია. ტერიტორიის სამხრეთი ნახევარი კოლხეთის ბარის ფარგლებშია (100-150 მ-ზე), წარმოადგენს სუსტად დანაწევრებულ ვაკესა და მთისწინეთს. ვაკე აგებულია მეოთხეული (რიყნარი, ქვიშები, თიხები) და მესამეული (ოლიგოცენური და ნეოგენური) დანალექი წყებებით — თიხებით, ქვიშაქვებით, კირქვებით, კონგლომერატებით, მერგელებით. მთისწინეთის ზონა ძირითადად აგებულია ცარცული კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით.

ჩრდილოეთ ნახევარში მთაგორიანი რელიეფია. ჩრდილოეთით აღმართულია ეგრისის ქედი, რომლის სამხრეთი კალთა აგებულია შუაიურული პორფირიტებით და მათი ფუფებით, ტუფ-ბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებით, ფიქლებით, ქვიშაქვებით, თხემური ნაწილი — ქვედაიურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, კირქვებით. იგი დანაწევრებულია მდინარე ხობისწყლისა და მისი შენაკადების ღრმა ეროზიული ხეობებით. მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილია მთა ომაჭირხოლე (3166 მ). მუნიციპალიტეტში ვრცელდება მიგარის კირქვული მასივი, სადაც მრავალი მღვიმეა წარმოდგენილი. აღსანიშნავია გარახის, ნაზოდელავოს, სავეკუოს, ყალიჩონის კლასტოკარსტული მღვიმეები და კარსტული მღვიმე შურუბუმე (მყუდრო ადგილი). მღვიმეები გამოყენებულია ტურისტული თვალისაზრისით.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. ბარში იცის რბილი ზამთარი და ხანგრძლივი ცხელი ზაფხული ნალექების მაქსიმუმით შემოდგომა-ზამთარში, მთისიწნეთში – ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, დაბალმთიან ზონაში – ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული, საშუალომთიან ზონაში იცის შედარებით ხანგრძლივი ცივი ზამთარი და გრილი მოკლე ზაფხული. ეგრისის ქედის მაღალმთიან ზონაში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მკაცრი ჰავაა. ბარში იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,5°C საშუალომთიან ზონაში -4°C, შესაბამისად, ივლისის საშუალო ტემპერატურა 23-12°C, ბარში წელიწადში საშუალოდ 1,400-1,600 მმ ნალექი მოდის. იგი სიმაღლის მიხედვით მატულობს და 2,600 მმ აღწევს

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩამოედინება ორი მდინარე ხობისწყალი და ოჩხომური, მათ აქვთ მრავალი პატარა შენაკადები. კოკისპირული წვიმების დროს ხდება მათი ადიდება, ისინი გადმოლახავენ ნაპირებს და წალეკვით ემუქრებიან სანაპირო ადგილებში სავარგულებსა და ახლო-მახლო მცხოვრებ ოჯახებს, ასევე აზიანებენ ხიდ-ბოგირებსა და ნაპირსამაგრ ნაგებობებს. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მეწყერსაშიში რისკიანობის ზონას განეკუთვნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ კირცხს, ლეწურწუმეს, ახუტს,

გარახას, თაიას, ქვედაჩხოროწყუსა და ჭოდას. სულ დამეწყრილი ოჯახების რაოდენობა შეადგენს 180–ზე მეტ ოჯახს. აქედან პირველ კატეგორიას ანუ უპირობო მოსახლეობას ექვემდებარება 51 ოჯახი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

ჩხოროწყუს ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ჩხოროწყუ. მანძილი ქ. თბილისსა და ქ. ჩხოროწყუს შორის 330 კმ–ია. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 13 ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც გაერთიანებულია 30 სოფელი.

- ადმინისტრაციული ერთეული დ. ჩხოროწყუ (სოფ. გარახა);
- ადმინისტრაციული ერთეული ლესიჭინე (სოფ. პირველი ლესიჭინე, სოფ. მეორე ლესიჭინე, სოფ. ოჩხომური);
- ადმინისტრაციული ერთეული ქვედაჩხოროწყუ (სოფ. ქვედაჩხოროწყუ, სოფ. ლეჯიქე);
- ადმინისტრაციული ერთეული ახუთი (სოფ. ახუთი, სოფ. მონგირი);
- ადმინისტრაციული ერთეული ნაკიანი (სოფ. ნაკიანი, სოფ. ლეახალე, სოფ. ლექარჩე);
- ადმინისტრაციული ერთეული კირცხი (სოფ. კირცხი, სოფ. სარაქონი);
- ადმინისტრაციული ერთეული ლეწურწუმე (სოფ. ლეწურწუმე, სოფ. ჯუმითი, სოფ. ნაგვაზუ);
- ადმინისტრაციული ერთეული ხაბუმე (სოფ. ხაბუმე, სოფ. ჯუმითი, სოფ. მოიდანახე);
- ადმინისტრაციული ერთეული მუხური (სოფ. მუხური, სოფ. ლეგახარე, სოფ. ქოყო);
- ადმინისტრაციული ერთეული ჭოდა (სოფ. პირველი ჭოდა, სოფ. მეორე ჭოდა, სოფ. ლექობალე);
- ადმინისტრაციული ერთეული ნაფიჩხოვო (სოფ. ნაფიჩხოვო, სოფ. ლედარსალე, სოფ. ხანწვი);
- ადმინისტრაციული ერთეული თაია;
- ადმინისტრაციული ერთეული ზუმი.


წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით. სოფელ მუხურში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დოლომიტის, კირქვისა და ანდეზიტ–ბაზალტის საბადო. ნიადაგის მოსაკვირიანებლად გამოიყენება სოფელ თაიას აგრომადნები, ე.წ. ტკილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება საშენი ინერტული მასალები (ქვიშა, ღორღი, ფლეთილი სამშენებლო ქვა). ლუგელას ხეობაში მდებარეობს „ლუგელას“ მინერალური წყლის გამოსასვლელი ადგილი, მინერალური წყალი გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებით.

დემოგრაფია, სოციალური მდგომარეობა

2014–2015 წლებში მუნიციპალიტეტისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთობლივი მუშაობით განსახლებულ იქნა 4 ოჯახი. ახალი საცხოვრებელი სახლი აუშენდა სტიქიით დაზარალებულ 3 ოჯახს. სარეაბილიტაციო და გამაგრებითი სამუშაოების შესასრულებლად ფულადი თანხა გამოეყო სტიქიით დაზარალებულ 4 ოჯახს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2015 წლის 20 იანვრის მონაცემებით შედგება 33,931 ადამიანისაგან. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით პენსიის მიმღებია 5,171 ბენეფიციარი. მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რაოდენობა არის 2,845 ადამიანი.



დიაგრამა #1.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, ხოლო მოზარდთა რაოდენობა 981-ს შეადგენს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ძალზე მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები. ღარიბ მოსახლეობას შორის ყველაზე მეტია 40–60 წლებისა და 70 წელს ზევით ასაკობრივი ჯგუფის წილი. ამ უკანასკნელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ შრომის უნარიანი მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც საარსებო შემწეობას იღებს. 2015 წელს სოციალურ დახმარებას იღებს 900 ოჯახი. მუნიციპალიტეტში 57 მრავალშვილიანი ოჯახია, 213 - ომის მონაწილე - ვეტერანი. აქედან სამამულო ომის მონაწილეა 6, ავღანეთის ომის მონაწილე – 37, ხოლო 170 საქართველოს ტერიტორიული მთლიანებისათვის წარმოებული ომის ვეტერანი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით საპენსიო ასაკით გათვალისწინებულ პენსიას სოფლების მიხედვით – სოფ. ახუთში 376, ზუმი 244, სოფ. თაიაში 124, სოფ. კირცხში 442, , სოფ. ლესიჭინეში 682, სოფლ

ლეწურწუმეში 271, სოფ. მუხური 476, სოფ. ნაკიანში 78, სოფ. ნაფიჩხოვოში 384, სოფ. ქვედაჩხოროწყუში 276, სოფ. ჭოღაში 299, სოფ. ხაბუმეში 603, დ. ჩხოროწყუში 1016 ბენეფიციარი. მთლიანობაში 5171 ბენეფიციარი.

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და გადამამუშავებაზე, თუმცა ადგილობრივი არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც ფისკალური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

2.1 სოფლის მეურნეობა


ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი აგრარულ რაიონს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი სიახლეები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას. მუნიციპალიტეტის მაღალ სასოფლო - სამეურნეო პოტენციალს განაპირობებს ისეთი ფაქტორები როგორცაა - ხელსაყრელი კლიმატი, ჯანსაღი ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სარწყავ სისტემებზე ხელმისაწვდომობა, ნოყიერი ნიადაგი და პროდუქციის წარმოების მრავალწლოვანი ტრადიცია, რაც მუნიციპალიტეტში წარმოებულ პროდუქტს უნიკალურს ხდის.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. მუნიციპალიტეტის ნიადაგი განსაკუთრებულ პირობებს იძლევა თხილის კულტურის ხარისხიანი მოსავლისათვის. ასევე მისდევნენ სიმინდისა და სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურების მოყვანას, ეწევიან მესაქონლეობასა და მეფუტკრეობას.

მუნიციპალიტეტში სასოფლო სამეურნეო სავარგულებს 15,594 ჰექტარი უკავია, აქედან 3,882 ჰექტარი სახნავი მიწებია, 6,074 ჰექტარზე მრავალწლოვანი ნარგავებია გაშენებული, 5,638 ჰექტარი საძოვარი მიწებია.


მრავალწლიანი ფართობები შემდეგნაირადაა განაწილებული: ჩაი - 2,697 ჰექტარი, ტუნგო 745 ჰექტარი, კაკლოვანი კულტურები 2,020 ჰექტარი, ვენახი 206 ჰექტარი, ხეხილი და სუბტროპიკული კულტურები 390, ციტრუსი 16 ჰა.

მნიშვნელოვანი ფართობები (მრავალწლიანი ფართობების 54%) უჭირავს ჩაის და ტუნგოს, თუმცა მათი რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება. (იხ. დიაგრამა #2.1.)



დიაგრამა #2.1. მრავალწლიანი ფართობების გამოყენება 6,074 ჰა

სახნავი ფართობების 97% (3,680 ჰა) გამოყენებულია სიმინდის წარმოებისათვის. 2014 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში წარმოებული იქნა 12,760 ტონა სიმინდი, 360 ტონა კარტოფილი, 1,763 ტონა ბალჩეულ ბოსტნეული და 55 ტონა პარკოსნები.



დიაგრამა #2.2. სახნავი ფართობების გამოყენება 3,897 ჰა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ნიადაგი განსაკუთრებული პირობებს იძლევა როგორც სიმინდის წარმოების განვითარებისათვის ასევე სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურების მოსაყვანად. სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა საჭიროებს გასარწყავიანებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაზრდას.

მეცხოველეობა - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ოჯახებზე რიცხული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 16,208 სულს შეადგენს. მათ შორის, ფურია 6,214 სული, წველადობის მოცულობა დღე-ღამეში ერთ სულზე 4,3 ლიტრია. მუნიციპალიტეტის 5 სოფელში -

ნაფიჩხოვო, თაია, მუხური, ჭოდასა და კირცხში - ირიცხება მომთაბარე მრავალფეხა რქოსანი პირუტყვი (755 სული), მათ შორის ფურია 240. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 სასაკლაო.

წარმოებული პროდუქციიდან სარეალიზაციო დანიშნულება ძირითადად სულგუნს გააჩნია, ოჯახურ პირობებში დამზადებული სულგუნი იყიდება ზუგდიდის ბაზარზე.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მეცხოველეობის განვითარების ცენტრი, რომელიც ჯიშობრივი გადახალისების გზით ცდილობს მაღალპროდუქტიული პირუტყვის რაოდენობის გაზრდას.

მეფრინველეობა - 2015 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში 107,672 ფრთა ფრინველია. აქედან, ქათამი არის 101,457 ფრთა, ხოლო ინდაური - 10,849 ფრთა. აღნიშნული ფრინველი თითქმის არ ატარებს საწწარმოო დანიშნულებას და უმეტეს შემთხვევაში პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება

მეფუტკრეობა - მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი უნიკალური ადგილია საქართველოში, სადაც, სოფელ მუხურის ტერიტორიაზე შექმნილი მიკროკლიმატის გამო ქართული რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაცია საუკეთესო თვისებებს ავლენს, აქ გამოყვანილი დედა ფუტკრის მიერ წარმოებული ფუტკარი ხასიათდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხორთუმით (7,2მმ) რაც განაპირობებს მის მაღალ შრომისნაყოფიერებას დალიანობისათვის შეუსაბამო პირობებშიც კი, საბჭოთა პერიოდში აქ არსებული მეფუტკრეობის სადედე მეურნეობა ათასობით დედა ფუტკარს აწარმოებდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკეთებდა რეალიზაციას. დღეისათვის მთელი ინფრასტრუქტურა თითქმის მოშლილია და აქ არსებული პოპულაციის გადაშენების საფრთხე რეალურად არსებობს ამ უბანზე სხვადასხვა რეგიონებიდან შემოყვანილი სკების გამო.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

პრობლემები:

- მუნიციპალიტეტში არსებული ჩაის რესურსის სრულად გამოყენება არ ხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, არსებობს მხოლოდ რამდენიმე ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც სრულად ვერ ითვისებს არსებულ ნედლეულს, შესაბამისად ფართობების დიდი ნაწილი დეგრადირებულია
- ტუნგოს ნარგაობები შემორჩენილია საბჭოთა პერიოდიდან, რამდენიმე წარუმატებელი ცდის მიუხედავად, დღეისათვის მისი გამოყენება არ ხდება, ამ კულტურის ქვეშ დატვირთული ფართობი (745 ჰა) სახნავი და მრავალწლიანი სავარგულების 7%-ს შეადგენს, შესაბამისად გაცდენილი ფართობები ამცირებს მოსავლიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს.

- სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა არ არის გასარწყავიანებული, რაც გარკვეულწილად ამცირებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას.
- საკმაოდ დიდი რისკის ქვეშაა „მუხურის ფუტკრის“ სელექციური სიწმინდის საკითხი, არსებობს იმის საფრთხე რომ რამდენიმე წელიწადში ეს პოპულაცია საერთოდ გაქრეს.
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

გამოწვევები:

- მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება, და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით ნიადაგის ტიპის და პერსპექტიული დარგის შესაბამისად მოგვეცემს იმის საშუალება სრომ ჩაის და ტუნგოს ფართობები იქნას შესწავლილი ნარგავების ვარგისიანობის და დარგის სტრატეგიული მნიშვნელობის მიხედვით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტმა შეადგინოს და განახორციელოს სოფლის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული ნაკვეთისათვის ოპტიმალური მიმართულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მრავალწლიან შედეგზე.
- ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის შექმნა და სრულფასოვანი დატვირთვა ხელს შეუწყობს მოსახლეობას ზუსტად განსაზღვრონ მიწის შემადგენლობა, სწორად დაგეგმონ ოპტიმალური კულტურა და მიზანმიმართული ღონისძიებებით სწორად არეგულირონ ნიადაგის ნაყოფიერება კონკრეტული დარგის განვითარებისათვის.
- აუცილებელია მუხურის ზონის იზოლირება მეფუტკრეობის თვალსაზრისით და იქ სადედე სანაშენე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა, რაც მუნიციპალიტეტისა და მთლიანად ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს, ამავდროულად მხ=სოფლიო მასშტაბით გაიზრდება ქართული რუხი ფუტკრის პოპულარობა და ადგილობრივ მეფუტკრეობის პროდუქტზე მოთხოვნა.
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს სრული აგროტექნიკური ღონისძიებების წარმართვას მიწათმოქმედებაში
- სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა (დაახლოებით 120ჰა) საჭიროებს გასარწყავიანებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაზრდას.
- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და დაზრდის რაოდენობას.

- ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ამასთან განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნია გადამამუშავებელი საწარმოების მიმართულებას. დღევანდელ პერიოდში ყველაზე მეტად განვითარებულია თხილის წარმოება და შესაბამისად საჭიროა შეიქმნას მისი გადამამუშავებელი საწარმო ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე ფუნქციონირებს ტუნგოს ზეთის წარმოება.

ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში ეკონომიკის ძირითადი მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგალითად ბრუნვამ 2015 წელს შეადგინა 38, 2 მლნ. ლარი, რომელიც წინა წლის მონაცემს სამჯერ აღემატება. პროდუქციის გამოშვებამ ბიზნესში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 8,9 მლნ. ლარი, რომელიც ორჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. დასაქმებულთა რაოდენობა 780-ია 2015 წელს. თუმცა ძალიან დაბალია დაქირავებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება, რომელიც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 73%-ით ჩამოუვარდება.

	ერთეული	მონაცემი
პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	8,9
ბრუნვა	მლნ. ლარი	38,2
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	780
დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	466
დაქირავებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება	ლარი	238,8
დამატებული ღირებულება	მლნ. ლარი	2,8 (2014 წელი)
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	მლნ. ლარი	0,0 (2014 წელი)

ცხრილი #2.1: ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2015)

სოფელ მუხურში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დოლომიტის, კირქვისა და ანდეზიტ-ბაზალტის საბადოები. ნიადაგის მოსაკირიანებლად გამოიყენება სოფელ თაიას აგრომდნები, ე.წ. ტკილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება საშენი ინერტული მასალები (ქვიშა, ღორღი, ფლეთილი სამშენებლო ქვა). ლუგელას ხეობაში მდებარეობს „ლუგელას“ მინერალური წყლის გამოსასვლელი ადგილი. წყალი გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებით.

მუნიციპალიტეტის მცენარეული საფარის უნიკალურობა განპირობებულია ენდემური სახეობების ფართე გავრცელებით. სუბალპურ ზონაში ყველაზე მაღლა ვრცელდება მეგრული არყი, რომელიც „ცაშკიბულიშ ტობავარჩხილის“ მისადგომებთან და მიგარის მასივის უმაღლეს წერტილებში გვხვდება. ხობისწყლის ხეობაში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი კოლხური ყოჩივარდა, რომელიც ასევე ენდემური სახეობის მცენარეა. (მეგრული არყისა და კოლხური ყოჩივარდისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ამერიკული და ინგლისელი მეცნიერები). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლის „ლუგელას“ საბადო. ანალოგიური ქიმიური შემადგენლობის მქონე ბუნებრივი მედიკამენტი სხვაგან არსად მოიპოვება, იგი თვითონ ქმნის მინერალური წყლის ტიპს და ჰიდროქიმიურ ლიტერატურაში ლუგელის ტიპის წყლით არის ცნობილი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულით. შესაბამისად მრეწველობის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს მრეწველობის შემდეგი დარგები: აგურის წარმოება სოფ. ახუთსა და ქვედაჩხოროწყუში. კირის წარმოება სოფ. მუხურში (ქოყოს უბანი), ანდეზიტის ქვის წარმოება–დამუშავება ლუგელას ხეობაში, რომელიც გამოირჩევა ზღვის წყლის მიმართ მდგრადობით, გამოიყენება ზღვის სანაპიროს გასამაგრებლად, ცემენტის წარმოება სოფ. თაიაში, დოლომიტის მოპოვება და დამუშავება სოფ. ნაფიჩხოვოში (ხურუს უბანი), თევზის სატბორე მეურნეობის განვითარება სოფ. კირცხში /55–60 ჰა–ზე), ასევე მუხურის ტერიტორიაზე 11 ჰა–ზე. ჩაის მზა პროდუქციის წარმოება.

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს მაღალი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება კონგლომერატები, მთიან ზონაში - კირქვები და ვულკანური წარმოშობის ქანები. კონგლომერატებში ფორმირებულია ხუთი უნიკალური მღვიმე, რომლებსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, როგორც ნგრეულ ქანებში წარმოქმნილ მღვიმეებს. მთიან ნაწილში წარმოდგენილია მყინვარული წარმოშობის უნიკალური ტბები - ცაშკიბული, ტობავარჩხილი, დიდლელეს ტბა, წყაწყყარი. მყინვარის მიერ დამუშავებული მდ. ხობისწყლის კანიონი დღემდე არ არის შესწავლილი. მიგარის კირქველ მასივის წიაღში ფორმირებულია უამრავი მღვიმე, ერთ-ერთი მათგანი - ფოთოლცვენის მღვიმე კავასიის უდიდეს მღვიმეთა ნუსხაშია შეტანილი (გამოკვლეული ნაწილის სიგრძე 2,5 კმ, სიღრმე 340 მეტრი). მუნიციპალიტეტში ასევე არის უნიკალური

შურუბუმუს მღვიმე მიწისქვეშა მდინარე „დეიძახით“ და ერატირებული ლოდებით (ლოდის წონა 150 ტონა).

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურში დამსვენებელთა რაოდენობა 8–10,000–მდე ადამიანს აღემატება, ძირითადად მყინვარული წარმოშობის ტბები: „ტობავარჩხილი“, „ცამკიბული“ „შურუბუმუს მღვიმე“, ლუგელას ხეობა.

ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია მე–11–მე–12 საუკუნეშია აშენებული, დგას ჩხოროწყუს რაიონში, სამეგრელოს ქედის სამხრეთ კალთაზე. იგი აგებულია მარალ ადგილას და საკმაოდ დაშორებული სოფლებიდანაც მოჩანს.

ასევე „ოცინდალეს“ წმინდა გიორგის სახელობის მონასტრიდან იშლება უნიკალური ხედი, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის ტერიტორიებს, რასაც დამთვალიერებლები აღტაცებაში მოყავს. ულამაზესი სანახავია მდინარეების „გვალაშარასა“ და „ლუნჯის“ ჩანჩქერები. 2014 – 2015 წლების მონაცემებით ტურისტთა რაოდენობა 3000 – 3500 –მდე იყო. ეკლესიას ეტყობა შემდეგი მინაშენების კვალი. იგი მოპირკეთებულია ტუფის ქვით.

ტურიზმის სექტორის განვითარების ხელსეწყობისათვის აუცილებელია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ტურისტებისათვის მოსასვენებელი კოტეჯების განთავსება.

3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით სოფლების ძირითადი ნაწილი რაიონის ცენტრთან დაკავშირებულია ასფალტის საფარიანი გზებით, დარჩენილია სოფლები; სოფ. სარაქონი, მეორე ჭორა, მეორე ახუთი, სოფ. ოჩხომური, ლესიჭინე (რუსტაველის უბანი), სადაც არსებული გზები სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

ტრანსპორტი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ერთადერთ საშუალებას საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების სახით. ძირითადი მგზავრთნაკადები და ტვირთნაკადებია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი–თბილისი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი–ქუთაისი, ჩხოროწყუ–ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები და თემები. ნაკადები სეზონური ხასიათისაა და ზამთრის პერიოდში დაბალი ინტენსივობით ხასიათდება. მუნიციპალიტეტის ცენტრს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ძირითადად ბაზრობის დღეებში სტუმრობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანებს უზრუნველყოფს კერძო კომპანია შ.პ.ს. „ნიკა“. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანას ასევე უზრუნველყოფენ კერძო პირები. ამ დროისათვის არსებობს 33 მარშრუტი. მგზავრთა გადაზიდვას უზრუნველყოფს 4 PAZ ტიპის მარკის ავტობუსი, 12 MERCEDES-ის ტიპის და 17 FORD-ის მარკის მიკრო ავტობუსი. ავტობუსები მოძველებულია და პარკი საჭიროებს განახლებას.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტრანსპორტით.

გზები. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო არტერიებია ზუგდიდი–წალენჯიხა–ჩხოროწყუ–სენაკი (სიგრძე 90 კილომეტრი), მარტვილი–ტალერი–ჩხოროწყუ (45 კმ), ზუგდიდი–ჯიხაშკარი–ჩხოროწყუ (26 კმ). ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე შეადგენს 343 კმ-ს., მათ შორის, ცენტრალური - 32 კმ, შიდა საუბნო გზა - 311 კმ, ასფალტიანი - 7 კმ, გრუნტიანი - 304 კმ, ბეტონის 9,2 კმ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ 15 სახიდე გადასასვლეელია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე სისტემის საჭირო რაოდენობის მხოლოდ 70 პროცენტი. სანიაღვრე სისტემების საერთო სიგრძე 15 კმ-ს შეადგენს. აქედან რეაბილიტაციას ან განახლებას 2 კმ. სიგრძის მონაკვეთი საჭიროებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავება და ნაგვის გატანა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით ხორციელდება. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ნაგავსაყრელი, ნარჩენების გატანა ხდება ხობის მუნიციპალიტეტში. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობაა 3,360 მ³.

მუნიციპალიტეტის ცენტრში არის 2 დასასვენებელი პარკი საერთო ფართობით 1,2 ჰა., ხოლო სოფლების ჩათვლით 6 სკვერი საერთო ფართობით 0,55 ჰა. მუნიციპალიტეტში არსებული ნაპირსამაგრი ჯებირების რაოდენობა შეადგენს 45,000 მ/3-ს.

2015–2016 წლებში რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სოფ. ნაკიანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (7 კმ) თანხით 1,252,139 ლარი. სოფ. კირცხში დაიგო ასფალტო – ბეტონის გზა (3 კმ) თანხით 624,960 ლარი, სოფ. ლეწურწუმეში ცენტრალური გზის 500 მ–იან მონაკვეთზე დაგებულ იქნა ასფალტო–ბეტონის საფარი თანხით 129,999 ლარი.

ასევე სასურველია საუბნო გზებზე ასფალტო–ბეტონის საფარის დაგება სოფ. სარაქონი, სოფ. მეორე ჭოლა, სოფ. მეორე ახუთი, სოფ. ოჩხომური, ლესიჭინე (რუსთაველის უბანი) 15 კმ გზა საჭიროებს რეაბილიტაციას, აგრეთვე სავალალო მდგომარეობაშია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, სადაც საჭიროა სანიაღვრე არხების, წყალგამტარი მილების, ხიდ–ბოგირების მოწყობა.

წყალმომარაგება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება ხდება როგორც ცენტრალური წყალგაყვანილობით, ისე ინდივიდუალური მოპოვების გზით (ქები, ბუნებრივი წყაროს წყლები), მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალისა და შიდა ქსელის საერთო სიგრძე 45 კმ–ს შეადგენს, აქედან 2010–2015 წლებში რეაბილიტირებული ან ახლად მოწყობილია 22 კმ ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი. წყლის ხარისხი არსებითად შეესაბამება დადგენილი სტანდარტის მოთხოვნებს. რთული რელიეფიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა რეგულარულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

წყალმომარაგება არ არის საკმარისი მოსახლეობისათვის და საჭიროა განხორციელდეს წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა. სოფ. ხაბუმეში, სოფ. ლესიჭინეში, სოფ. თაიაში, სოფ. ზუმში, სოფ. კირცხში, სოფ. ქვედაჩხოროწყუში, სოფ. ახუთში.

2015–2016 წლებში სოფ. მუხურში განხორციელებულ იქნა წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც დასრულების პროცესშია და ემსახურება სოფლის 1000–მდე ოჯახს. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1,409,334 ლარი.

კანალიზაცია. საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ დაბის ცენტრშია. ამასთან, იგი ამორტიზირებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით იგეგმება არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 2014–2016 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდებს თანხით 387,471 ლარი. მოეწყო გარე განათება სოფ. ლესიჭინეს მიმართულებით 11 კმ–ზე, რისთვისაც დაიხარჯა 84,000 ლარი.

ენერგომომარაგება . მუნიციპალიტეტი ნაწილობრივ ელექტროფიცირებულია. დაბალი ძაბვის ენერგოგადამცემი ხაზების ქსელის 70 %-მდე საჭიროებს განახლებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამრიცხველიანების მდგომარეობა დასრულების პროცესშია, დაბალი ძაბვის ხაზები ცალკეულ ადგილებში მოითხოვს განახლებას. მუნიციპალიტეტში არ არსებობს ბუნებრივი გაზომარაგების სისტემა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაზიფიცირების პროექტის შედგენა, მომავალი წლისათვის სასურველია დაიწყოს გაზიფიცირების მშენებლობის განხორციელება.

3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაბის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დასვენების პარკს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რისთვისაც მთაქავრობის მიერ გამოყოფილ იქნა 141,900 ლარი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით საჭიროა შეიქმნას ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, დასასვენებელი და გასართობი ობიექტები: (სასტუმრო, სათამაშო კლუბები) და სხვა. საჭიროა მოგვარდეს ტრანსპორტის საკითხი.

ტურიზმის მიმართულებით დღეის მდგომარეობით არ განხორციელებულა მსგავსი ობიექტებისა და ცენტრის მშენებლობა. 2017 წელს დაგეგმილია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა.

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, ერთობლიობაში ქმნიან ჯანსაღ გარემოს, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე.

4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო 15 საწოლით, თემებში მოსახლეობის ჯამრთელობაზე ზრუნავს 18 ექიმი და 22 მედდა, თუმცა, მუნიციპალიტეტი ექიმების ნაკლებობას განიცდის. მუნიციპალიტეტს ამჟამად ემსახურება სამი სასწრაფო დახმარების სამედიცინო ბრიგადა. მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს 4 კერძო სტომატოლოგიური კლინიკა. ამასთან, მუნიციპალიტეტში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულება განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, განსაკუთრებით - უროლოგის და ყელ-ყურის, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა.

4.2. სოციალური მომსახურეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 3350 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 15,1%-ია, რაც ოდნავ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - 13%-ს. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული რყევებით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით 2016 წელს გაიზარდა 631 პირით და საბოლოო ჯამში შემცირებულია 1,017 ერთეულით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 5,206 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 14,223,5%-ია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზრდილია 86 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 931-ს, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 231-ს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა გაზრდილია 597 პირით, ხოლო მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა შემცირებულია 19 ერთეულით. ამასთან, იძულებით გადაადგილებული პირთა რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 1,773 პირს, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში შემცირებულია 329 პირით. მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რაოდენობა არის 2845, ასევე 57 მრავალშვილიანი ოჯახია, 213 - ომის მონაწილე - ვეტერანი. აქედან სამამულო ომის მონაწილეა 6, ავღანეთის ომის მონაწილე - 37, ხოლო 170 საქართველოს ტერიტორიული მთლიანებისათვის წარმოებული ომის ვეტერანი.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 3, შშმ ბავშვთა

დღის ცენტრით - 17, მცირე საოჯახო ტიპის სახლებით - 7, ბავშვთა რეაბილიტაციით - 3, ბავშვთა ადრეული განვითარებით - 8, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 2 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ხორციელდება შემდეგი ადგილობრივი სოციალური პროგრამები:

პროგრამების ჩამონათვალი	2014 წ.	2015 წ.
	ბენეფიციართა რაოდენობა	
ერთჯერადი დახმარება	1050	549
ახალშობილი	222	163
მრავალშვილიანები	58	57
დიალიზი	12	14
უსინათლო	-	30
მეორე მსოფლიო ომი	16	-
ას წელს გადაცილებული	9	8
უსახლკარო	-	19
გაუსამღისი პირობები	-	5
ჩერნობილი	16	16
ავღანეთი	-	37
უფასო სასადილო	46	-
ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	-	-

5. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის როგორც საშუალო ასევე სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლანდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, ხოლო მოზარდთა რაოდენობა 981-ს შეადგენს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 19 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა. მოსწავლეთა რაოდენობა 2,601-ია. საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 30 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 583. მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 14 ერთეულით.. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 4.5, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,1-ით.

5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 13 კულტურის სახლი, მათ შორის 7 სოფელში ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენ 6 სოფელში კი არ ფუნქციონირებს. სპორტული ობიექტები დ. ჩხოროწყუში არის სულ 6, ორი დიდი და 4 პატარა. აქედან 3 ფეხბურთის მოედანს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. ახუთში არის სულ 4 ფეხბურთის მოედანი, ორი დიდი, 1 პატარა. 3 უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. მუხურში არის 3 მოედანი, სამივე არის სარეაბილიტაციო. სოფ. კირცხში არის 2 ფეხბურთის მოედანი, 1 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ლესიჭინეში 6 ფეხბურთის მოედანი, რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს 4 მოედანს. სოფ. ლეწურწყუმეში არის 5 სპორტული მოედანი, აქედან 3 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ნაკიანში 1 სპორტული მოედანი, სარეაბილიტაციოა, სოფ. ნაფიჩხოვოში არის 3 მოედანი , 2 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ქვედაჩხოროწყუში არის 6 ფეხბურთის მოედანი 5 მოედანს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. სოფ. ჭოლაში სულ არის 7 ფეხბურთის მოედანი, 4 არის სარეაბილიტაციო. სოფ. ზუმში არის 6 მოედანი, 3 უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, სოფ. ხაბუმეში 6 მოედანი 4 ესაჭიროება რეაბილიტაცია. სოფ. თაიაში არის სულ 1 მოედანი, რომელიც არის სარეაბილიტაციო.

მუნიციპალიტეტში აუცილებელია ჩოგბურთის კორტისათვის სავარჯიშო კედლისა და აგრეთვე ქუჩის ტრენაჟორების გაკეთება.

6. გარემოს დაცვა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჩამოედინება ორი მდინარე ხობისწყალი და ოჩხომური, მათ აქვთ მრავალი პატარა შენაკადები. კოკისპირული წვიმების დროს ხდება მათი ადიდება, ისინი გადმოლახავენ ნაპირებს და წალეკვით ემუქრებიან სანაპირო ადგილებში სავარგულებსა და ახლო-მახლო მცხოვრებ ოჯახებს, ასევე აზიანებენ ხიდ-ბოგირებსა და ნაპირსამაგრი ნაგებობებს. ყოველწლიურად სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით ხორციელდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, რამდენიმე ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს სტიქიის რისკის ასაცილებლად ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას მდ. ხობისწყლის სანაპიროზე, აგრეთვე მდ. ოჩხომურის სანაპიროებზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მეწყერსაშიში რისკიანობის ზონას განეკუთვნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ კირცხს, ლეწურწუმეს, ახუთს, გარახას, თაიას, ქვედაჩხოროწყუსა და ჭოლას. სულ დამეწყერილი ოჯახების რაოდენობა შეადგენს 180-ზე მეტს. აქედან პირველ კატეგორიას ანუ უპირობო მოსახლეობას ექვემდებარება 51 ოჯახი. სტიქია, მეწყერი, წყალდიდობა და ღვარცოფი აზიანებს საგზაო ინფრასტრუქტურას.

მუნიციპალიტეტში ტყის ფართობი შეადგენს 30 000 ჰა-ს, სადაც ნაწილს ტყეკაფის სტატუსი აქვს მინიჭებული, ნაწილი კი სუბალპური ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება. 370 ჰა-ზე კოლხური ბზის ტყეებია განვითარებული, რომელიც დღეს გადაშენების საფრთხის ქვეშაა დაავადების გამო.

მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყალი ძირითადად გამოიყენება ცენტრალიზებული წყალმომარაგებისთვის. წყალმომარაგების სისტემის საერთო მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს საშუალოდ. სისტემიდან წყლის დიდ დანაკარგს ადგილი არა აქვს. დიდ დასახლებებში არის საკანალიზაციო კოლექტორი, მაგრამ არ არის წყალგამწმენდი ნაგებობა და ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში.

მუნიციპალიტეტის ნარჩენების გატანასა და განთავსებას ახორციელებს აა(ი)პ ჩხოროწყუს დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 12% (3,746 მოსახლე). ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი ნაგავსაყრელი, რის გამოც მისი გატანა ხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაისში არსებულ ნაგავსაყრელზე, რომლის წლიური მოცულობა შეადგენს 3,600 მ³. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენის რაოდენობა შეადგენს 0.96 მ³. ტერიტორიაზე შეიმჩნევა სტიქიურად წარმოქმნილი პატარა ნაგავსაყრელები.

მუნიციპალიტეტს აქვს დასუფთავების 100% კონტეინერული სისტემა. კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 125 ერთეულს, საიდანაც 75 რკინის კონტეინერია, ხოლო 50 პლასტმასის. მუშაობს ერთი ნაგავმზიდი მანქანა, რომელიც თვითმცლელია. არ არის სპეც-ავტომეურნეობის სამრეცხაო, რაც წარმოადგენს გარემოს დაბინძურების რისკს.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტიდან ნარჩენების მიმალტულებით გამოყოფილია 270 000 ლარი, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 4.44%.

აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტი ელოდება ორი სპეც-ავტომანქანის დამატებას, საიდანაც ერთი უკვე ადგილზეა და გადმოცემის პროცესშია. ხოლო, მეორე სპეც-ავტომანქანს ველოდებით 2017 წლის პირველ კვარტალში. ასევე, ველოდებით 80 ლითონის კონტეინერის დამატებას.

იმის გამო რომ საკანალიზაციო სისტემა მოუწესრიგებელია და არ არის მუნიციპალიტეტში გამწმენდი ნაგებობა, მდინარეები ხობისწყალი და ოჩხომური ბინძურდება საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლებით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გასულ წლებში ჩატარდა გარკვეული რაოდენობის ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა 45,000 მ/კუბის ოდენობით, რისთვისაც დაიხარჯა 1,123,254 ლარი. მიმდინარე წლის ბოლოსათვის დაგეგმილია ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა 250 000 ლარის ოდენობით.

7. ხელისუფლება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - გამგებელი და 28 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 13 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისები: სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საჯარო რეეასტრის ეროვნული სააგენტო, სახანძრო-სამაშველო სამსახური, სანოტარო სამსახური, ჯანდაცვის პროგრამები.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში არის გამგეობის 9 სამსახური და საკრებულოს 5 კომისია.

ჩხოროწყუს 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრებია:

- ა.ა) შემოსულობები - 5407,7 ათასი ლარი;
- ა.ბ) გადასახდელები - 5407,7 ათასი ლარი;
- ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი - 4057,8. მათ შორის:
 - ა.გ.ა) გათანაბრებითი ტრანსფერი - 3885,8 ათასი ლარი;
 - ა.გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი - 172,0 ათასი ლარი.
- ა.დ) სარეზერვო ფონდი 80- ,0 ათასი ლარი.
- შემოსულობები წლების მიხედვით

წლები	ათასი ლარი
2014	7757,4
2015	8944,7
2016	9122,5

- ბიუჯეტი 2014-2015-2016 წლები

წლები	თანხა ათასი ლარი
2014	6258,9
2015	10499,7
2016	6080,8

2014 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯმა შეადგინა 184 ლარი, 2015 წელს 309 ლარი, ხოლო 2016 წელს განსაზღვრულია 273 ლარი. ბიუჯეტის მეტობა ნაკლებობის ტენდენცია ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ფონდებიდან სპეციალურ ღონისძიებებზე (სტიქია და სხვა). თანხების გამოყოფით.

8. SWOT ანალიზი

1. ეკონომიკა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მძლავრი ენერგეტიკული სიმძლავრები და განახლებადი ენერჯის წყაროები. • წარმოების, მრეწველობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, კვების წარმოების, მცირე და საშუალო საწარმოების მუშაობის დიდი გამოცდილება • ხელსაყრელი გარემო ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის • სუფთა გარემო და ბიომეურნეობის განვითარების პოტენციალი • მეცხოველეობის განვითარების პოტენციალი • ქართული რუხი ფუტკრის სანაშენე წარმოების უნიკალური რესურსი • მეჩაიეობის მნიშვნელოვანი რესურსი • მუნიციპალიტეტის ნიადაგების მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი. • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და მრავალფეროვანი პროდუქციის მისაღებად. • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტრადიციები; • მუნიციპალიტეტის მაღალი ტურისტული პოტენციალი. • მდინარე ხობისწყლის ხეობის ღირსშესანიშნაობები: (მღვიმეები, ერატიული ლოდები, „ტობავარჩხილის“ სახელწოდების ტბები. • საჯომარდო, საკანიონინგო და 	<ul style="list-style-type: none"> • არსებული ბუნებრივი რესურსების მწირი გამოყენება. • მრეწველობის სექტორის განვითარების არადამაკოფილებელი დონე. • მოსახლეობის და ადგილობრივი ბიუჯეტების მწირი შემოსავლები, ადგილობრივი კერძო დანაზოგებისა და ინვესტიციების დაბალი დონე • უმუშევრობის მაღალი დონე, კვალიფიციური კადრების გადინება. • ბიზნესისა და ტექნოლოგიური განვითარების მხარდამჭერი ორგანიზაციების ნაკლებობა. • მიწის კადასტრის მოძველებული მონაცემები • ჩაის და ტუნგოს ფართობების აუთვისებლობა • არასათანადო ხელშეწყობა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. • მეწყერული და ეროზიული მოვლენები • აგრარული გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე • ფერმერების აგრარული ცოდნის დაბალი დონე • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე. • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალპროდუქტიულობა, დისპროპორცია დასაქმებულთა რაოდენობასა და პროდუქციის მოცულობას შორის. • სოფლის მეურნეობის

<p>საპიკნიკე ადგილები.</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურული და ისტორიული მონუმენტები და ულამაზესი ხედები. 	<p>განვითარებისათვის საჭირო ტექნიკისა და ინვენტარის არასაკმარისი რაოდენობა.</p> <ul style="list-style-type: none"> • სასტუმროების არარსებობა ტურისტებისთვის „ტობავარჩხილი“-ს ტბის მიდამოებში. • ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის არასაკმარისი ცოდნა. • უცხოელი ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა. • ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. • შესაბამისი მომსახურებისა და კადრების არადაამაკმაყოფილებელი დონე. • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია.
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა სახის აუთვისებელი წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგები. • სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი. • საკრედიტო დაფინანსების ბაზრის შესაძლებლობების გაფართოება. • პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდა • შეღავათიან აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. • მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება • მიწის ნაყოფიერების მართვის ეფექტური მექანიზმის შექმნა • მეწყერული და ეროზიული მოვლენების პრევენციის მექანიზმის 	<ul style="list-style-type: none"> • ალტერნატიული ფულადი რესურსების მოძიების მცირე შესაძლებლობები. • არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში. • ბუნებრივი კატაკლიზმები. • ეპიზოტოტიებისა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება. • საფინანსო ეკონომიკური კრიზისი.

<p>შემუშავება -დანერგვა</p> <ul style="list-style-type: none"> • გადამამუშავებელი საწარმოების და ფერმერთა კოოპერირების პროცესების სტიმულირება • ფერმერთა უწყვეტი სწავლების სისტემის შექმნა • სოფლის მეურნეობის სფეროში სადაზღვევო სისტემების ხელმისაწვდომობის ზრდა. • ინვესტიციების მოზიდვა. მდინარე ხობისწყლის ხეობაში სამშენებლო პროდუქციის თვალსაზრისით. • ტურისტული პოტენციალის განვითარება. • ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდა. 	
--	--

2. ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი ნაწილის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. • გარე განათებით დასახლებების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა. • ელექტროენერჯის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა • მუნიციპალიტეტის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით. 	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • დასახლებების დიდ ნაწილში გარე განათების არარსებობა • სასმელი წყლით მოსახლეობის არასრული უზრუნველყოფა • მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის გაზომომარაგების ხელმიუწვდომლობა • სოფლების უმრავლესობიდან ნარჩენების გატანის მომსახურების არარსებობა • საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ზრდის მაღალი დინამიკა 	<ul style="list-style-type: none"> • სტიქიური მოვლენები.

3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფოს არსებობა. • ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა სოფლის მომსახურება. • მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის არსებობა. 	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდ რაოდენობასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები. • ფაქტობრივი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და დასაქმების მწირი შესაძლებლობები მოსახლეობისთვის. • სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი. • სოციალური უზრუნველყოფის ქმედითი სისტემის არარსებობა. • სოციალური სახლების ნაკლებობა. • მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტებზე შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო აპარატურის განახლება. • ეკონომიკური ზრდის მაღალი დინამიკა 	<ul style="list-style-type: none"> • ეპიდემიების გავრცელება. • სტიქიური მოვლენები.

4. განათლება, კულტურა და სპორტი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • შემოქმედებითი, ხალხური რეწვა, კუთხური ხალხური მთქმელები და ფოლკლორული ანსამბლები • მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების არსებობა. • მოტივირებული ახალგაზრდობა 	<ul style="list-style-type: none"> • დაფინანსების არასაკმარისობა. • კადრების გადინება • კულტურის სახლის ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. • დაფინანსების არასაკმარისობა • მწვრთნელების ლიცენზირების საკითხი
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • დაფინანსების გაზრდა. • კულტურის სახლების კაპიტალური რემონტი • კულტურის სახლების თანამედროვე 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება • დემოგრაფიული ფონის ცვლილება

<p>აპარატურით უზრუნველყოფა.</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო სპორტის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება • სპორტული სექციების თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა • სპორტ-კომპლექსის აშენება • დაფინანსების გაზრდა 	
---	--

5. გარემოს დაცვა და კატასტროფის რისკების შემცირება

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება. • ენდემური სახეობის მცენარეების (მეგრული არყი, კოლხური ყოჩივარდა და სხვა) ფართოდ გავრცელება. 	<ul style="list-style-type: none"> • საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა. • ნაგავსაყრელების სტიქიური არსებობა. • ნარჩენების გადამუშავებისა და კომპაქტირების პრაქტიკის არ არსებობა. • რეკრაციულ ადგილებში ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა. • კლიმატის ცვლილებების მავნე შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა გეგმის არარსებობა. • დაცული ტერიტორიების არარსებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • მდ. ხობისწყლის ხეობის ცალკეული ტერიტორიების დაცულ ტერიტორიად გამოცხადება 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფები

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი არის სამეგრელოს რეგიონში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, სადაც უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წიაღისეულის, მიწისა და წყლის ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება. მუნიციპალიტეტში არსებული გამართული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ცხოვრების მაღალ ხარისხს.

მუნიციპალიტეტში განვითარებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ინვესტორთა მოზიდვას ხელს უწყობს სათანადო საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება.

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი ინოვაციები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

ტურისტული ინფრასტრუქტურა და ობიექტები, ტურიზმის დარგში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი ადეკვატურ მომსახურებას უწყვეტ მონიციპალიტეტში მყოფ პირებს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მისია არის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სკოლამდელი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი რისკების შემცირების ხელშეწყობა. თავისი საშუალოვადიანი მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს:

- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარებთან, მათ შორის, დონორებსა და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას;
- გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ჩართვას;
- რეგიონში არსებული ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების გავრცელებას;
- მუნიციპალიტეტის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას;
- ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების შედგენასა და განხორციელების მხარდაჭერას

10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

პრიორიტეტი 1: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ღონისძიებები:

- 1.1 ადგილობრივი მნიშვნელობისა და სასოფლო გზების რეაბილიტაცია
- 1.2 გარე განათების აღდგენა
- 1.3 სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
- 1.4 საკანალიზაციო სისტემის გაყვანა

შედეგები:

- 1.1 ადგილობრივი მნიშვნელობისა და სასოფლო გზების გამტარიანობა და უსაფრთხოება გაიზრდება
- 1.2 ქუჩები განათებულია
- 1.3 მოსახლეობა ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფილია
- 1.4 ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემა

პრიორიტეტის დასაფინანსებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1,972,000 ლარის გამოყოფა 2016-2019 წლებში. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საბაზინო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2016-2017 წლებში გამოიყოფა 4,407,676 მილიონი ლარი.

პრიორიტეტი 2: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესება

ღონისძიებები:

- 2.1 მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება კატეგორიზაცია

- 2.2 ჩაის და ტუნგოს ფართობების შესწავლა და შემდგომი გამოყენების სტრატეგიის შექმნა განხორციელება
- 2.3 პოტენციური აგრარული დარგების სრული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა ფერმერთა გაერთიანებების და კოოპერირების ხელშეწყობით,
- 2.4 მუხურის ზონის იზოლირება მეფუტკრეობის თვალსაზრისით და იქ სადედე სანაშენე მეურნეობის შექმნის ხელშეწყობა,
- 2.5 ნაპირსამაგრი ღონისძიებების სრულად განხორციელება
- 2.6 სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე არსებული დეფიციტის შემცირება
- 2.7 ფერმერთა ცოდნის დონის სისტემატური ამაღლება
- 2.8 ნიადაგის ნაყოფიერების მენეჯმენტის სისტემის შექმნა

შედეგები:

- 2.1 განახლებული საკადასტრო მონაცემები უზრუნველყოფს ფართობების ოპტიმალურად გამოყენება
- 2.2 სრულად არის დატვირთული ჩაის და ტუნგოს ნარგავებით დაკავებული ფართობები
- 2.3 წარმოებული აგრარული პროდუქცია გადამუშავდება საბოლოო სახით და რეალიზდება უკვე სასაქონლო სახით
- 2.4 ქართული რუხი ფუტკრის მეგრული პოპულაციის დედა ფუტკრირ რეალიზაციით გაზრდილია მუნიციპალიტეტის შემოსავალი
- 2.5 მიწის ნაყოფიერების ამაღლებით და სრულფასოვანი აგროტექნიკის გამო გაზრდილია მოსავლიანობა
- 2.6 ხელი შეეწყობა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2016-2019 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 40,000 ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 3: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია

ღონისძიებები:

- 3.1 ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება
- 3.2 მყარი ნარჩენების მომსახურების უზრუნველყოფა
- 3.3 ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენცია

შედეგები:

- 3.1 ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის რისკი შემცირდება
- 3.2 შენარჩუნებული იქნება სუფთა გარემო, შემცირდება დაავადებების გავრცელების რისკი, სურსათის უვნებლობა და მუნიციპალიტეტის იერსახე მიმზიდველი გახდება.
- 3.3 ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის რისკი შემცირდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1,250,000 ლარის გამოყოფა 2016-2019 წლებში.

პრიორიტეტი 4: სოციალურად დაუცველი ფენების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის განხორციელება

ღონისძიებები:

- 4.1 სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება
- 4.2 იგპ-ებისათვის სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა უზრუნველყოფა
- 4.3 შშპ-ებისათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფა

შედეგები:

- 4.1 სოციალურად დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება
- 4.2 იგპ-ს საჭიროები გათვალისწინებული იქნება და ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება
- 4.3 შშპ-ს ინტეგრირების დონე გაიზრდება და ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 2,084,800 ლარის გამოყოფა 2016-2019 წლებში.

პრიორიტეტი 5: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ღონისძიებები:

- 5.1 სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა მშენებლობა და რეაბილიტაცია

5.2 სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა პედაგოგების გადამზადება

შედეგები

5.1 სკოლამდელი განათლების მიღებისთვის თანამედროვე გარემო შეიქმნება

5.2 სკოლამდელი განათლების ხარისხი თანამედროვე სტანდარტებს მიუახლოვდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2016-2019 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 4,473,000 ლარის გამოყოფა. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საბაზინო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2016-2017 წლებში გამოიყოფა 500,000 ლარი.

პრიორიტეტი 6: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია

ღონისძიებები:

6.1 სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება (მინიმოედნები, კორტები, სპორტული კომპლექსები და ა.შ.)

6.2 სპორტული კლუბების მხარდაჭერა

შედეგები:

6.1 17 დიდი და 16 პატარა მინი მოედნების რეაბილიტაცია ჩატარდება. ასევე აშენდება 9 დიდი მოედანი და 8 მინი მოედანი, ფრენბურთის 7 მოედანი, 2 კალათბურთის მოედანი, და რაგბის 1 მოედანი. 3 ახალი ჩოგბურთის კორტი სოფ. მუხურში აშენდება, 1 ჩოგბურთის კორტს სოფ. ხაბუმეში და 1-ს სოფ. ლესიჭინეში ჩაუტარდება რეაბილიტაცია. აშენდება 1 სპორტული კომპლექსი დ. ჩხოროწყუში.

6.2 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებშორის გაიზრდება სპორტულ მიღწევათა რიცხვიჯანსაღი ცხოვრებით მაცხოვრებელთა რიცხვი გაიზრდება; ახალგაზრდები და ბავშვები თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ, მოსახლეობის ამ ჯგუფში მავნე ჩვევებისა და ზედმეტი წონის მაჩვენებლები შემცირდება

პრიორიტეტის თანა-დასაფინანსებლად 2016-2019 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 2,425,000 ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 7: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებისა და

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა

ღონისძიებები:

7.1 შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა

7.2 კულტურის სახლებისა და ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

7.3 კულტურის ძეგლების რესტავრაცია

შედეგები

7.1 შემოქმედებითი ჯგუფები შემოქმედებას უფრო მრავალფეროვნად გამოამჟღავნონ

7.2 მოსახლეობა შეუფერხებლად და კომპორტულ გარემოში ისარგებლებს კულტურული სახლებისა და ბიბლიოთეკების მიერ შემოთავაზებული სერვისებით

7.3 კულტურის ძეგლები შენარჩუნებული იქნება და ტურისტების მოზიდვის შესაძლებლო გაიზრდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2016-2019 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1,469,000 ლარის გამოყოფა. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან 2016-2017 წლებში გამოიყოფა 600,000 ლარი.

პრიორიტეტი 8: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესება

ღონისძიებები:

8.1 მეცხოველეობის განვითარება

8.2 ჩაის კულტურის აღორძინება

8.3 კოოპერატივების შექმნა–ჩამოყალიბების ხელშეწყობა

შედეგები:

8.1 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, გაიზრდება პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებული მოსახლეობის შემოსავალი

8.2 ჩაის წარმოება აღორძინდება, რაც დასაქმებასა და მეწარმეობას შეუწყობს ხელს

8.3 ხელი შეეწყობა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2016-2019 წლებში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 40,000 ლარის გამოყოფა.

ფინანსური მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით

დასახელება	2016 წლისგეგმა	2017 წლის პროგნოზი	2018წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
პრიორიტეტი 1: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	275,0	300,0	322,0	350,0
პრიორიტეტი 2: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია	270,0	300,0	330,0	350,0
პრიორიტეტი 3: სოციალურად დაუცველი ფენების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის განხორციელება	588,0	6506,6	710,0	772,2
პრიორიტეტი 4: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	975,0	1073,0	1165,0	1260,0
პრიორიტეტი 5: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია	500,0	585,0	640,0	700,0
პრიორიტეტი 6: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების	443,0	493,0	533,0	585,0

ხელშეწყობა				
პრიორიტეტი 7: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მეურნეობის გაუმჯობესება	სოფლის წარმოების	40,0	45,0	50,0
ჯამი		3 091	9 302 600	3 750 000
				4 072 200